ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,,ქართული ოცნების“ სხდომის

ოქმი N 8

23.03.2026
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში. სხდომას ხელმძღვანელობდა ფრაქციის თავმჯდომარე, ბატონი დიმიტრი მხეიძე.

ესწრებოდნენ ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრები:

გიორგი ჭიღვარია, მარეხი ნიჟარაძე, ამირან კოპალეიშვილი, ლაშა გვენეტაძე, გიორგი იობაშვილოი, ბესიკ ჩეჩელაშვილი, კობა ფხაკაძე, მანანა ჩიხლაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ალეკო თამაზაშვილი, ბიქტორ გვეტაძე, სალომე სარალიძე, სანდრო ნერგაძე, მაგდა კოსტავა, ლანა ჩიტიძე.

სულ 16 წევრი

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“თავმჯდომარემ ბატონმა დიმიტრი მხეიძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი ვალერი სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა, ადგილობრივი თვითთმართველობის
ქონებისა და ტარნსპორტის მართვის
სამსახურის უფროსი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ , ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური მერიის ეკონომიკური განვითარებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დღის წესრიგის პირველი საკითხი- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის უფროსმა, ბატონმა ვალერი სილაგაძემ.

ვალერი სილაგაძე: ,,მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიშს 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური საქმიანობას ძირითადად წარმართავდა სამსახურის დებულების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, შინაგანაწესისა და ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების, შემუშავებული სტრატეგიული გეგმების და დონორი ორგანიზაციების მიერ მიმდინარე პროექტების ფარგლებში.

ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილება.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელი - ქუთაისი ეკო სმარტ ქალაქი“ მიმდინარეობაზე ხორციელდებოდა საერთო კოორდინაცია. შესაბამისი საქალაქო სამსახურების ჩართულობით შესრულდა:

1.ნარჩენების სეპარირების (პლასტიკის, ქაღალდის და ლითონის საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხებული შეგროვებისათვის) ახალი თანამედროვე სმარტ ცენტრების მოწყობა ქალაქის 7 ლოკაციაზე (21 სმარტ ბუნკერი);

2.ელექტრომობილებისათვის ელექტროდასამუხტი წერტილების ინსტალაცია ქალაქის 4 ლოკაციაზე,

3. შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ ტერიტორიაზე მოეწყო 100კვტ. სიმძლავრის მზის პანელები, რომლის მიხედვითაც კომპანია 100%-ით გადავიდა განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე.

https://www.facebook.com/photo/?fbid=927840162721877&set=pb.100064877043448.-2207520000

4.შესყიდულია 5 ერთეული სასმელი წყლის გარე სტაციონარები, მიმდინარეობს ქალაქის რეკრეაციებში მათი ინსტალირების სამუსაოები და საზოგადოებისათვის იქნება ხელმისაწვდომი სასმელი წყლის როგორც ადგილზე მიღება, ასევე მრავალჯერადი ჭურჭლის შევსების შესაძლებლობა, რათა მოტივაცია გაეწიოს ერთჯერადი პლასტიკის ჭურჭლის გამოყენებაზე უარს და მისგან ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას.

ქუთაისში ეკო სმარტ ქალაქის პორტფელის ფარგლებში ტრანსფორმაციის განვლილ გზებზე UNDP მიერ M4EG მიერ მომზადდა ვიდეო კლიპი

საერთო კოორდინაციას ვახორციელებთ საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) ექსპერტებთან და საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების სამინისტროსთან ერთად და ვიმუშავეთ პროექტზე „შუა დერეფნის ქალაქების განვითარების ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოში“. გაიმართა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა პროექტის მენეჯმენტის, საქალაქო სამსახურების, ბიზნეს წარმომადგენლების მონაწილეობით შუა დერეფნის განვითარების სტრატეგიის საერთო კონტექსტის განსაზღვრის, გამოწვევების და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. დაგეგმილია ინტეგრირებული საერთო სტრატეგიის და საინვესტიციო პორტფელების მომზადება. პროექტში ჩართულია ქუთაისის, სამტრედიის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის მუნიციპალიტეტები. მუშაობა გრძელდება.

იმერეთის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად სისტემატურად ხორციელდებოდა ელექტრონული სახით ადგილობრივ მეწარმეთა ბიზნეს საკონსულტაციო სერვისების მიწოდება, ყოველწლიურ სახელმწიფო საგრანტო პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის ხელშეწყობის მიზნით („აწარმოე საქართველოში“, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტები და სხვა). გავრცელებულ იქნა ინფორმაციები „ქალების ბიზნეს შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამაზე“, „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობაზე“, „საწარმოებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშემწყობ პროგრამაზე“, „ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამაზე“, საწარმოთათვის ექსპორტის მენეჯერთა მომზადებაზე, ბიზნესის გაციფრულების ხელშეწყობაზე, პარტნიორ ქვეყნებში საერთაშორისო ბიზნეს ფორუმებში ადგილობრივი ბიზნესების მიწვევებზე და სხვა.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებულ პროექტში „ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“. სამსახურის ინიცირებით

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2024-2025 წლის პერიოდში გამოცხადდა მესამე მხარის ფინანსური მხადაჭერის საგრანტო კონკურსები შემდეგი მიმართულებებით:

1.მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების, ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღება;

2.ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღება

3.ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღება.

სამსახური ახორციელებდა გამოცხადებულ საგრანტო კონკურსების მიხედვით შემოსული განაცხადების საკონკურსო კომისიისათვის წარსადგენად, აოქმებდა კომისიის სხდომებს ამზადებდა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულ ბიზნეს სუბიექტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების პროექტებს.

პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სახის კვლევებისა და კონცეფციების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვები და შესყიდული იქნა შემდეგი კვლევები, მასალები, კონცეფციები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კონკურენტული უპირატესობების მონაწილეობითი შეფასება;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან კერძო სექტორის საკონსულტაციო პლატფორმის კონცეფცია;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში შესაქმნელი მუნიციპალური ენერგოეფექტურობის ცენტრის (მეეც) კონცეფციის, კომუნიკაციის სტრატეგია და დოკუმენტაცია;

4. დასავლეთ საქართველოს სამ ფოკუსურ რეგიონში (იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) ძირითადი ადგილობრივი პროდუქტებისა და ღირებულების ჯაჭვის ელექტრონული კატალოგი.

აქტიურად ვართ ჩართული გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტში „ქუთაისის დაბალემისიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით", რომლის კოორდინაციას ახორციელებს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC CAUCASUS) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA). პროექტის ფარგლებში შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტები, როგორიცაა:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია" (LEDS);

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა“ (ISUMP) .

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები წარდგენილი არის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე განსახილველად.

შემუშავებულ იქნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2036“, რომელიც შემდგომი განხილვისათვის წარედგინა რეგიონული განვითარების სამინისტროს.

შემუშავებულ იქნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ხედვა 2030“, რომელიც შემდგომი განხილვისათვის წარედგინა რეგიონული განვითარების სამინისტროს.

საანგარიშო პერიოდში კომპეტენციის ფარგლებში ვმონაწილეობდით სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ონლაინ სამუშაო შეხვედრებში, ვებინარებში და სემინარებში, სადაც მონაწილე მხარეებს შორის ხდებოდა ცოდნის, გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის მაგალითების ურთიერთგაზიარება, კლიმატის ცვლილებებთან და ენერგოეფექტურობის კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ მოქნილ ინსტრუმენტებზე მსჯელობა:

1.„განახლებადი ენერგიის დანერგვაში არსებული გამოწვევები და ენერგეტიკული პროექტების განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები მუნიციპალიტეტებში“ – GREDA ორგანიზებით

2.„ქუთაისის დაბალემისიიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით“ - სამუშაო დისკუსია REC CAUCASUS ორგანიზებით

3.„გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები და მათი ლოკალიზაცია მუნიციპალიტეტებში“ - სამუშაო ფორმატი ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით;

4.„მუნიციპალიტეტების გამოცდილება მწვანე ტრანზიციის, მდგრადი განვითარების, კლიმატისა და გარემოსდაცვითი მიმართულებებით“ - სამუშაო შეხვედრა ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით;

1.„საქართველოს კლიმატის ანგარიშგების ეროვნული სისტემის გაუმჯობესება, ეროვნული პრიორიტეტები და ადგილობრივი კონტექსტი“ – სამუშაო შეხვედრა REC CAUCASUS და MEPA ორგანიზებით;

2.„სამომავლო მზაობის საფუძვლები - კლიმატის ცვლილება, მზარდი ურბანიზაცია, გლობალური პრობლემები, მიტიგაცია და ადაპტაცია“- სასწავლო სემინარი UNDP ორგანიზებით “მერები ეკონომიკური ზრდისთის“ M4EG ფარგლებში

1.„ჰაერის ხარისხის კონტროლისა და მისი გაუმჯობესებისაკენ მიმართული საერთაშორისო პრაქტიკა“ - საერთაშორისო კონფერენცია ევროკავშირის ინიციატივა „მერების შეთანხმება-აღმოსავლეთი CoMEAST“ ფარგლებში;

2.„ქალაქების მზაობა მდგრადი ციფრული ტრანსფორმაციისათვის, ციფრული ურბანიზაცია და საჯარო სერვისების გაუმჯობესება ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის გასაძლიერებლად“ - სასწავლო სემინარი UNDP ორგანიზებით “მერები ეკონომიკური ზრდისთის“ M4EG ფარგლებში;

3.„კერძო სექტორის ჩართულობა ადგილობრივ დონეზე“ - სამუშაო შეხვედრა PMCG ორგანიზებით;

4.„ინტეგრირებული გამჭვირვალობის ჩარჩო, კლიმატის ცვლილება, მონაცემთა მართვის სისტემა“ - სასწავლო სემინარი კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC CAUCASUS) ორგანიზებით

5.„მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის“ მეთოდოლოგია, SWOT ანალიზი, გამოწვევების იდენტიფიცირება, პრიორიტეტული ბიზნეს სექტორები, სმარტ კრიტერიუმები და სერვისების გაციფრულების საჭიროებები” - სასწავლო სემინარი PMCG საკონსულტაციო ჯგუფის ორგანიზებით.

6.„ინკლუზიური ქალაქები, გამოწვევები და მათი გადაჭრის ინსტრუმენტები“ - სასწავლო სემინარი UNDP, M4EG, ARUP ორგანიზებით;

7.„ურბანული ტრანსფორმაციის გავლენა ადამიანის მობილობაზე“ - სასწავლო სემინარი UNDP, M4EG ორგანიზებით

8.„მწვანე გარდაქმნის სექტორები - ინდუსტრიიდან ციფრულ და მწვანე ტრანსფორმაციისაკენ“ - სასწავლო სემინარი UNDP, M4EG ურბანული სასწავლო ცენტრის ორგანიზებით;

9.„მწვანე და სამართლიანი გარდაქმნა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შერბილების, კლიმატნეიტრალური მდგრადობის, ნულოვანი ნარჩენების, ცირკულარული ეკონომიკის, ციფრული ეკონომიკის იმპლემენტაციების ინსტრუმენტები მუნიციპალიტეტებისათვის“ - სასწავლო სემინარი UNDP, M4EG ორგანიზებით;

10.„მწვანე სოციალური ნორმა - ახალი მიდგომები და ინსტრუმენტები“ – სასწავლო სემინარი UNDP, DEMOS HELSINKI ორგანიზებით

11.„ჭკვიანი და ინკლუზიური ქალაქები, სმარტ ქალაქების ინდექსი“ - სასწავლო სემინარი UNDP, M4EG ურბანული სასწავლო ცენტრის ULC ორგანიზებით;

12.ცირკულარული ეკონომიკა, გამოწვევები და ტენდენციები“ – სამუშაო შეხვედრა CIVITA ორგანიზებით;;

13.მწვანე და მდგრადი ურბანული ტრანსფორმაცია - ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები“ - სასწავლო სემინარი UNDP, M4EG ურბანული სასწავლო ცენტრის ორგანიზებით;

14.„ურბანული მობილობის ტრანსფორმაცია, უსაფრთხო და მდგრადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ახლებური გააზრება, დაბალემისიიანი ინკლუზიური და მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ინსტრუმენტები“ - სასწავლო სემინარი UNDP, M4EG ურბანული სასწავლო ცენტრის ორგანიზებით;

15.„ენერგეტიკული ქალაქების ქსელის საქმიანობის გაცნობა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის ენერგოეფექტური, კლიმატნეიტრალური, დაბალემისიან აქტივობებზე პრეზენტაცია - სამუშაო შეხვედრა Energy Cities ქსელის ორგანიზებით;

გამოცდილების გაზიარების, ახალი ცოდნის, უნარების და კარგი პრაქტიკის მიღების მიზნით ვმონაწილეობდით სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო ტურებში:

1.„ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროექტის“ ფარგლებში საერთაშორისო სასწავლო ტური კვიპროსში. ნიქოზია, სტროვოლოსი, ლარნაკა, პარალიმნი, აია ნაპა- ს გამოცდილების გაზიარება მუნიციპალური სატრანსპორტო პოლიტიკის, ქსელის ოპერირების, ციფრული და IT ტექნოლოგიების, ურბანული სატრანსპორტო ჰაბების მუშაობის სპეციფიკის გაცნობა რეალურ დროში - საერთაშორისო კომპანია Systra-ს და EBRD ორგანიზებით;

2.ქუთაისის მუნიციპალიტეტი გახდა საერთაშორისო ენერგეტიკული ქალაქების Energy Cities თანამშრომლობის ქსელის წევრი. ამ ფორმატში მონაწილეობა მივიღეთ ქალაქ ბეზანსონში (საფრანგეთი) გამართულ ენერგეტიკული ქალაქების საერთაშორისო ფორუმში, რომელიც შეეხებოდა კლიმატის ცვლილებების, ენერგოეფექტურობის, მწვანე ტრანზიციის თემებზე კოლექტიური გადაწყვეტილებებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის კარგი პრაქტიკის გაზიარების მიზნით სამსახურის უშუალო ჩართულობით გაიმართა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები:

1.ნეპალის და დჰანგადის სუბმიტროპოლიტენის მუნიციპალიტეტების მონაწილეობით გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა, სადაც პრეზენტაციის სახით წარვადგინეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები, ეკო სმარტ ქალაქის ტრანსფორმაციის პორტფელის პრინციპები, კლიმატგონივრული, ენერგოეფექტური, კლიმატნეიტრალური მუნიციპალური პოლიტიკის მიდგომები, ინსტრუმენტები, როგორც კარგი პრაქტიკა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება - UNDP, M4EG ორგანიზებით;

2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელი პირების სასწავლო ვიზიტი ქალაქ ქუთაისში, სტუმრებს გავაცანით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები, ეკო სმარტ ქალაქის ტრანსფორმაციის პორტფელის პრინციპები, კლიმატგონივრული, ენერგოეფექტური, კლიმატნეიტრალური მუნიციპალური პოლიტიკის

მიდგომები, ინსტრუმენტები, როგორც კარგი პრაქტიკა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება - UNDP, M4EG ორგანიზებით;

დაჯილდოება : ჩვენს მიერ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის სახელით, წარდგენილი იქნა საკონკურსო განაცხადი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის ყოველწლიურ კონკურსზე და მოიპოვა გამარჯვება ნომინაციაში „ქუთაისი-ეკო სმარტ ქალაქი, მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელი ,როგორც გარემოს დაცვის, ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ხელშეწყობის წარმატებული გამოცდილება". ჯილდო გადაეცათ იმ პერიოდისათვის ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს დავით ერემეიშვილს და გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელს - ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილების ხელმძღვანელს ირაკლი გოგლიჩიძეს.

მომზადდა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წელს მიიღო დადგენილება N100 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრის შესახებ".

ქალაქის მერიასა და ქუთაისში არსებულ სამეცნიერო უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ყოველწლიურად ვახორციელებთ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მიღებას სტაჟირებისა და პრაქტიკის კურსის პროგრამების და სილაბუსების მიხედვით; 40 მდე სტუდენტი პრაქტიკულად გაეცნო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას, მოქმედ სტრატეგიულ გეგმებს და აღსრულების მექანიზმებს, საქალაქო სამსახურების მიხედვით მიმდინარე პროექტებს.

ვმონაწილეობდით საერთაშორისო კომპანია „SYSTRA" და საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ორგანიზებით საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის ქალაქ ზუგდიდში გამართულ მეოთხე და ქალაქ ფოთში გამართულ მეხუთე სამუშაო შეხვედრებში, განხილული იყო ურბანული ტრანსპორტის შემდგომი განვითარების გზები, მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელების ოპტიმიზაციის შესაძლებლობები, საჯარო მომსახურების კონტრაქტის (PSC) დანერგვა, კონკურსის წესით ნებართვების გაცემის და მუნიციპალური ტრანსპორტის ეფექტური მუშაობისათვის რეფორმირების გზები.

ვმონაწილეობდით აზიის განვითარების ბანკის ექპერტებთან და შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მენეჯმენტთან ერთად გამართულ სამუშაო შეხვედრებში ქუთაისის ურბანული ტრანსპორტის განვითარების, საგზაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზების და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების კუთხით.

საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის რეგულირების მიმართულებით:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებით მოცული არის ქალაქ ქუთაისის დასახლებული უბნების 92 %-მდე. ამჟამად ფუნქციონირებს M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 12 მარშრუტი,

ყოველდღიურად მუშაობს 54 ავტობუსი (რეზერვი 6 ავტობუსი), ამ მარშრუტებზე ოპერირებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია". M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 33 მარშრუტიდან 9 მარშრუტზე ყოველდღიურად მუშაობს 9 მიკროავტობუსი (რეზერვი 1 მიკროავტობუსი), თითოეულ მარშრუტზე მუშაობს 1 მიკროავტობუსი) ოპერირებას ახორციელებს შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია". დანარჩენ M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 24 მარშრუტზე ყოველდღიურად მუშაობს 104 მიკროავტობუსი (რეზერვი 32 მიკროავტობუსი) ოპერირებას ახორციელებს კერძო გადამზიდავები, სულ 13 გადამზიდავი.

ავტობუსის 108 გაჩერებაზე მოწყობილ მგზავრთა მოსაცდელ ჯიხურებთან დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ელექტრონული ტაბლოები, რომელიც ავტობუსების მოძრაობის რეალური პარამეტრების მიხედვის უზრუნველყოფს ტაბლოებზე ავტობუსების მიწოდების დროების დაფიქსირებას.

უმეტეს მგზავრთა მოსაცდელებთან დახაზულია ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები. ამჟამად ქალაქ ქუთაისში მიმდინარეობს ქუჩების კეთილმოწყობისა და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და გზის სავალ ნაწილებზე მონიშვნითი სამუშაოების ჩატარება. ამ პროექტში გათვალისწინებულია დარჩენილ 20 მგზავრთა მოსაცდელთან ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების მონიშვნითი სამუშაოების ჩატარება.

მუნიციპალური ავტობუსების მოძრავი შემადგენლობა (60 ავტობუსი და 10 მიკროავტობუსი) სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის ეტლით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირებისათვის.

დაგეგმილია შშმ პირებისათვის ადაპტირებული გაჩერებების მოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ტრანსპორტის გრაფიკის გამოცხადებისთვის გაჩერებებზე ხმოვანი სიგნალები არ არის დამონტაჟებული. ამ ეტაპზე მგზავრებისათვის ავტობუსების მოძრაობის გრაფიკების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მძღოლების მიერ ავტობუსებში.

საანგარიშო პერიოდში :

1. მოქმედ და ახალ მარშრუტებზე დაზუსტებული იქნა ავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა და გაანგარიშებული იქნა მოძრაობის ინტერვალები. დღის განმავლობაში მგზავრთნაკადის დინამიკის მაჩვენებლების მიხედვით შედგენილი იქნა მარშრუტებზე ავტობუსების მოძრაობის განრიგები;

2. მომზადდა და განხორციელდა პროექტები ავტობუსების გაჩერებებისა და ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების საგზაო მონიშვნითი სამუშაოების ჩასატარებლად;

3. ჩატარდა ავტობუსების გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების (სულ 111 ერთეული) არსებული მდგომარეობების მონიტორინგი და მოხდა მათი დაზიანებების აღწერა;

4. მომზადებულია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2

და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი";

5. მომზადებულია გარდამავალი პერიოდისათვის ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მარშრუტების სქემების, ნებართვის გაცემის საწყისი ფასებისა და ავტობუსების გაჩერებების პუნქტების დამტკიცების შესახებ";

6. საერთაშორისო კომპანია SYSTRA-ს და აზიის განვითარების ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით დასრულების ეტაპზეა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ავტობუსების) პერსპექტიული სამარშრუტო სისტემის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს სამგზავრო გადაადგილებების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და შედეგად მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის ამაღლებას;

7.საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სფეროში არსებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით მომზადდა პროექტები და ამ პროექტების მიხედვით ჩატარდა საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და საგზაო მონიშვნითი სამუშაოები (გელათის ქუჩა, დონეცკის ქუჩა, აღმაშენებლის გამზირი, ბროსეს ქუჩა, ვარლამიშვილის ქუჩა).

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებისათვის განხორციელდა გაჩერებების ადგილმდებარეობის დაზუსტება და ახალი გაჩერებების მოწყობა მოსახლეობის მოთხოვნათა და უსაფრთხოების პარამეტრების გათვალისწინებით.

9. ქალაქ ქუთაისის N28 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, N28 საჯარო სკოლის მოსწავლეთა N26 საჯარო სკოლაში და უკუმიმართულებით გადაყვანის პროცესის საერთო კონტროლის განხორციელების მიზნით ხდება ჩატარებული სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმება და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.

10. განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტების ტექნიკური რეესტრების განახლება.

11. განხორციელდა, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტის, კერძოდ: ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ახალი მარშრუტის „ქალაქი ქუთაისი-სათაფლიას მღვიმე" პარამეტრების გადამოწმება, რეალური საგზაო ექსპერიმენტის ჩატარების გზით. ექსპერიმენტების შედეგებით მომზადდა რეკომენდაციები 12 მეტრის სიგრძის ელექტროავტობუსის მარშრუტის რთულ უბნებზე მოძრაობის შემაფერხებელი ფაქტორების დეტალური ანალიზის მიხედვით.

12. დაზუსტდა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცდა M_2 და M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუნიციპალური მარშრუტების სატრანსპორტო სქემები;

13. შემუშავდა მუნიციპალური M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების დამატებით შესასყიდად ტექნიკური დავალებები და პირობები.

14. მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ ქუთაისში ურბანული ტრანსპორტის განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალურ სანებართვო პოლიტიკას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების პოლიტიკას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის და განკარგვის განყოფილება.

სამსახურის ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილება აგრძელებს მუშაობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში მოქცეული უძრავი ქონებების (არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შენობა–ნაგებობები და ა.შ.) აღრიცხვის, რეგისტრაციისა და განკარგვის საკითხებში.

2025წ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 93 ერთეული უძრავი ქონება. მათ შორის

არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 46 ერთეული, ასევე დარეგისტრირდა/ დაზუსტდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი განუსხვისებელი ქონება (სკვერი, გაზონი, ტროტუარი, ავტოსადგომი, გზა, სპორტული მოედანი) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქონების რეგისტრაციის, რეგისტრირებული მონაცემების დაზუსტების, უძრავი ქონების გაყოფა–გაერთიანებისათვის მომზადდა და გამოიცა 56 სამართლებრივი აქტი.

2025 წლის განმავლობაში გამოცხადდა 13 ელექტრონული აუქციონი, გასხვისდა 20 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის: 17 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 3 (სამი) ერთეული მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობით, არასაცხოვრებელი ფართი) ბიუჯეტში მობილიზებულია 7 964 110.00 (შვიდი მილიონ ცხრაასსამოცდაოთხი ათას ასათი) ლარი.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისებით ადგილობრივ ბიუჯეტში 2025 წლის ჩაირიცხა 2 493 423.00 (ორიმილიონ ოთხასოთხმოცდაცამეტიათას ოთხასოცდასამი) ლარი.

გაფორმებული იქნა სასყიდლიანი სარგებლობის ხელშეკრულებები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ, მოძრავ ქონებაზე (გარე განათების კონსტრუქციები) 10 (ათი) ერთეული. ჯამში სახელშეკრულებო ღირებულება 124 588 ლარი.

ასევე აღსანიშნავია ელექტრონული აუქციონით, იჯარის ფორმით 2025წ. განიკარგა ქალაქ ქუთაისში, წითელ ხიდთან მდებარე არასაცხოვრებელი ფართი (საპირფარეშო) 2 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4900 ლარს.

2025წ. მომზადდა 32 განკარგულების პროექტი გაიგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

2025. ქონების განკარგვასთან დაკავშირებით გაფორმებულ იქნა 10 ხელშეკრულება სასყიდლიანი, 4 უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

„კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების შესაბამისად განსაკარგი ფართების პრივატიზაციისათვის 2025წ. გაცემულია 64 ერთეული.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან დაკავშირებით, ასევე, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უმოქმედო საწარმოების ამუშავების კუთხით. ჩატარებულ იქნა პარტნიორთა კრებები. მოხდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო სუბიექტების წესდებების ცვლილება და ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტიკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილების შესაბამისად, სამსახურის მიერ 2025 წელს მომზადდა 8 სამართლებრივი აქტი და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში დარეგისტრირდა 12 164კვ.მ. (მათ შორის სერვიტუტის უფლებით დაიტვირთა) 1556,07კვ.მ.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა და გაცემულ იქნა საკუთრების უფლების დამადასტურებელი 13 მოწმობა. ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 2025წ.=26 334,90ლარი;

საანგარიშო პერიოდში გარკვეული ყურადღება მიექცა სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას ტრენინგების საშუალებით, კერძოდ, საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ტრენინგები.

საანგარიშო პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობოდა სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელეების ახალი ცოდნისა და უნარების განვითარებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას ტრენინგების საშუალებით“.

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მარეხი ნიჟარაძე: ,, გაიარათუ არა თქვენმა თანამშრომლებმა პროფესიული გადამზადება ახლოეს პერიოდში?

ვალერი სილაგაძე: ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას გაფორმებული აქვს ფინანსთა ასოციაციასთან ხელშეკრულება-მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას , ეტაპობრივად ჩვენი სამსახური, ისევე როგორც მერიის სხვა სამსახურები თავიანთ ნაწილში გაივლიან ტრენინგებს.

მარეხი ნიჟარაძე: ,,თქვენ გევალებათ მოსაცდელების სწორად განსაზღვრა, დახაზვა და მოწყობა. რა კრიტერიუმებით საძღვრავთ ამ მოსაცდელების განთვსებას?

ვალერი სილაგაძე: ,,ჩვენმა სამსახურმა ტრანსპორტის განყოფილებასთან ერთად გააკეთა მონახაზი, რომელიც აუცილებლად უნდა დაემორჩილოს კანონმდებლობას. ტრანსპორტის განყოფილება აკეთებს მონიშვნებს, კონკრეტულად სად უნდა მოხდეს გაჩერებები, შემდეგ ვუგზავნით შესაბამისს სამსახურს ლოკიაციებს, რათა დროულად უზრუნველონ".

მანანა ჩიხლაძე: ,,ყრუ-მუნჯთა სკოლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, ვიცი არაერთი მითითებაა სამინისტროდან, ამ ბავშვების გადაადგილება როგორ მოწესრიგდება, რა ქმედითი ნაბიჯებია გადადგმული, თუ შეგიძლიათ ამ საკითხთან დაკავშირებით?"

ვალერი სილაგაძე: ,, ამ თემასთან დაკავშირებით გვქონდა შეხვედრა სკოლის დირექტორთან, საუბარია დაახლოებით 15 ბავშვზე, რომელსაც აქვს სმენის და გადაადგილების პრობლემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გვაქვს ასეთი პრაქტიკა, სახელმწიფოსაც ასეთი მიდგომა აქვს, თავად რესურსცენტრი საქმის კურსში აყენებს ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რეგიონალური მართვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს, გვიკვეთავენ დავადგინოთ უახლესი მანძილი სამხარაულის ექსპერტიზით, რამდენია სვლა-გეზი, აღნიშნულს გადავაგზავნით, რომ გამოაცხადონ შესყიდვები. ტენდერში გამარჯვებულთან დელეგირებული უფლებით ვაფორმებთ ხელშეკრულებას. ჩვენი მხარე ჩართულია მხოლოდ ამ ნაწილში, დანარჩენი არის უკვე რეგიონალური და განათლების სამინისტროს თემა".

სალომე სარალიძე: ,,ხელოვნების სკოლის შენობასთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გაქვთ?"

ვალერი სილაგაძე: ,,შენობის ერთ-ერთი ფლიგელი საფრთხის შემცველია. ჩვენ შევისყიდეთ შესაბამისი დასკვნა,მ რომელიც სამხარაულის ექსპერტიზამ დადო, დასკვნის თანახმად, ეს შენობა არის ავარიული და არარენტაბელურია ამ შენობის რემონტი, შესაბამისად ჩვენმა სამსახურმა აღნიშნული საკითხი გადავუგზავნეთ თავისი დასკვნით ინფრასტრუქტურის სამსახურს და როგორც ვიცი, მათ წარმოება უკვე დაწყებული აქვთ და აქტიურად არიან ჩართული".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით **დაადგინეს:**

მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების"
თავმჯდომარე დიმიტრი მხეიძე